2022-2024 წლებში რეჟიმის მოწინააღმდეგე რუსი და ბელორუსი აქტივისტების საქართველოში არშემოშვების საჯაროდ დოკუმენტირებული ფაქტები

2022 წელი

1. **30 ოქტომბერს** საქართველოში ალექსეი ნავალნის მოკავშირე, რუსი ოპოზიციონერი პოლიტიკოსი *ლუბოვ სობოლი* არ შემოუშვეს. როგორც რუსული გამოცემა წერს, ლუბოვ სობოლი აგვისტოში სომხეთში იმყოფებოდა, იქიდან კი საქართველოში გადმოსვლა სურდა, თუმცა, ამის უფლება საზღვარზე არ მისცეს.
2. **31 იანვარს** რუსმა ოპოზიციონერმა ლიდერმა *დმიტრი გუდკოვმა* განაცხადა, რომ საქართველოში არ შემოუშვეს. როგორც პოლიტიკოსმა Facebook-ის პირად გვერდზე გავრცელებულ ვიდეოში აღნიშნა, ის თბილისში უკრაინიდან ოფიციალური მოწვევით ჩამოვიდა, თუმცა, მესაზღვრეებმა არ შემოუშვეს. დიმიტრი გუდკოვს საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლაზე უარი ეთქვა უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ საქართველოს კანონის, 11-ე მუხლის "ი" ქვეპუნქტის თანახმად.
3. **2 თებერვალს** საქართველოში არ შემოუშვეს რუსი ოპოზიციონერი *იგორ ეფრიმოვი.* მისივე თქმით, მესაზღვრეებმა არშეშვების კონკრეტული მიზეზი არ დაუსახელეს და ახსნა-განმარტების გარეშე გააბრუნეს უკან. ეფრიმოვი რუსი ოპოზიციონერი პოლიტიკოსი და ლიბერტარიანული პარტიის ერთ-ერთი ლიდერია. როგორც ის ამბობს, პოლიტიკური რეპრესიების გამო, ბოლო ნახევარი წელი იძულებულია სომხეთში იცხოვროს.
4. **15 თებერვალს** საქართველოში არ შემოუშვეს რუსი ოპოზიციონერი, *ანდრეი დავიდოვი*. ანდრეი დავიდოვი საზღვარზე არშემოშვებას წმინდა პოლიტიკურ გადაწყვეტილებად აფასებს. როგორც პოლიტიკოსი აღნიშნავს, მას არც უარის მიზეზები განუმარტეს. *„ეს არის წმინდა პოლიტიკური გადაწყვეტილება. ვვარაუდობ, რომ მოსკოვმა წარმოადგინა იმ მოქალაქეების სია, რომელთა საქართველოში ყოფნაც არასასურველია. რუსეთის ფედერაციის ყველა სხვა მოქალაქემ საზღვარი დაუბრკოლებლად გადმოკვეთა. ჩემი მონაცემების შეყვანის შემდეგ მესაზღვრეებს გამოუჩნდათ შეტყობინება, გადარეკეს თბილისში და გადაწყვეტილება იქ მიიღეს“*.
5. **6 მარტს** საქართველოში არ შემოუშვეს რუსი ჟურნალისტი (დოჟდის წამყვანი) *მიხაილ ფიშმანი*. **ის რუსეთიდან ჯერ ბაქოში ჩაფრინდა, შემდეგ კი ოჯახთან ერთად თბილისში** წამოვიდა, თუმცა გაურკვეველი მიზეზით საქართველოში არ შემოუშვეს.
6. **10 მარტს** დამოუკიდებელი, აქტივისტური მედიაჯგუფის, *„მედიაზონის“* რუსი ჟურნალისტი, *დევიდ ფრენკელი* საქართველოში არ შემოუშვეს. როგორც თავად ფრენკელი წერს, მესაზღვრეებმა არ იცოდნენ, რა უნდა ექნათ და პასუხს *"სადღაც ზემოდან ელოდებოდნენ"*.
7. **13 ივნისს** რუსეთის ფედერაციის მოქალაქე, ჟურნალისტი და ბლოგერი *ინსა ოგუზი* საქართველოში არ შემოუშვეს. ოგუზის განცხადებით, რუსეთში დაბრუნების შემთხვევაში დააპატიმრებენ, ვინაიდან მის წინააღმდეგ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. მიუხედავად იმისა, რომ მან

საზღვარზე მოითხოვა საერთაშორისო დაცვა, მაინც უარი ეთქვა საქართველოში შემოსვლაზე. მისი მონახულება ვერ შეძლო სახალხო დამცველის წარმომადგენელმაც.

8. **21 ივნისის** Pussy Riot-ის წევრი, *ოლგა ბორისოვა* საქართველოში არ შემოუშვეს. მოგვიანებით მან ტვიტერზე დაწერა, რომ საქართველოს სასაზღვრო სამსახურს იგორ ბენდეგამ მისწერა, რომ ტერორისტია. ბორისოვა წერს: *„რომ ბენდეგა წლებია სოციალურ ქსელებში "აშავებს" და მისი არაერთი ანგარიში დაუბლოკა: „ახლა მან სასაზღვრო სამსახურს მიწერა, რომ ტერორისტი ვარ და მათ დაუჯერეს".*
9. **19 ივლისს** რუსი ბლოგერი *ალექსეი რომანოვი* საქართველოში არ შემოუშვეს. ინფორმაცია მან Facebook-ის საკუთარ გვერდზე გაავრცელა. *„ვფიქრობ, რომ ჩემი საქართველოში არშეშვება ჩემს რეპორტაჟებს უკავშირდება, რომლებიც საქართველოში შემოდგომაზე გადავიღე, როდესაც ხალხი მიხეილ სააკაშვილის გათავისუფლების მოთხოვნით აქციებზე გადიოდა. მიშა ერთი ქართველი ოლიგარქისთვის, ყელში გაჩხერილი ძვალია."*
10. **4 სექტემბერს** კრემლის კრიტიკოსი, რუსი ფოტოჟურნალისტი *ვასილი კრესტიანინოვი* საქართველოში არ შემოუშვეს. იგი ამ ფაქტს მის საქმიანობას უკავშირებს. საქართველოში თერთმეტთვიანი ცხოვრების დროს აორგანიზებდა და იღებდა მონაწილეობას აქციებში, რომლებიც რუსეთის წინააღმდეგ იყო მიმართული.
11. **7 სექტემბერს** საქართველოში არ შემოუშვეს *დმიტრი ალეშკოვსკი,* რუსი ჟურნალისტი და ქველმოქმედი. ალეშკოვსკი არის საქველმოქმედო ფონდის («Нужна помощь») თანადამფუძნებელი. მან ასევე დააფუძნა მედიაპორტალი («Такие дела»), რომელსაც თავად ხელმძღვანელობს. ივლისში რუსეთის იუსტიციის სამინისტრომ დმიტრი ალეშკოვსკი „უცხოური აგენტების" მედიასაშუალებების სიაში შეიყვანა.
12. **8 სექტემბერს** პუტინის რეჟიმის მიმართ კრიტიკულად განწყობილი რუსი ჟურნალისტი *მიტია ალეშკოვსკი* საქართველოში არ შემოუშვეს. ის "ნუჟნა პომოშისა" და გამოცემა "ტაკიე დელას" *დამფუძნებელია.-„ომის შემდეგ, რამდენჯერაც საქართველოში ჩამოვედი, ნახევარი საათი საზღვარზე მაჩერებდნენ. საქართველოში ომამდე ვცხოვრობდი. საქართველოში არშემოშვებას ჩემს პოლიტიკურ ხედვას ვუკავშირებ, რუსეთსა და უკრაინაში მიმდინარე ომთან დაკავშირებით, რადგან ომამდე შემოსვლაზე პრობლემა არ მქონია. ცოტა ხნის წინ რუსეთში აგენტადაც შემრაცხეს, თუმცა მე არ ვარ პოლიტიკოსი და პოლიტიკური პროცესებში არასდროს მიმიღია მონაწილეობა"* – აცხადებს ალეშკოვსკი.
13. **1 ნოემბერს** საქართველოში არ შემოუშვეს Pussy Riot-ის აქტივისტი *ნიკა ნიკულშინა.* საზღვარზე დაახლოებით 2 საათის განმავლობაში დაყოვნების შემდეგ სასაზღვრო სამსახურის თანამშრომლებს სიტყვიერად არაფერი განუმარტავთ და მხოლოდ დოკუმენტი გადასცეს.
14. **2 ნოემბერს** მედიაზონის მენეჯერს *გალა ლატიგოვსკაიას* საქართველოში შემოსვლაზე ეთქვა უარი. მედიასთან საუბარში მან განაცხადა, რომ მესაზღვრეებისგან საერთოდ არანაირი განმარტება მიუღია.
15. **14 ნოემბერს** საქართველოში შესვლა ვერ შეძლო Проект-ის ჟურნალისტმა *კატია არენინამ.* მესაზღვრეებმა მას გადასცეს დოკუმენტი, რომელშიც უარის საფუძვლად „სხვა მიზეზი" იყო დასახელებული.

16. **20 დეკემბერს** საქართველოში არ შემოუშვეს გამოცემა "ხოლოდის" რედაქტორი *ალექსეი პონომარიოვი.* იგი საათზე მეტი ხანი დააყოვნეს აეროპოტში, ბოლოს კი საქართველოში არ შემოუშვეს.

2023 წელი

17. **2 თებერვალს** საქართველოში არ შემოუშვეს *იგორ ეფრემოვი* რუსი ოპოზიციონერი პოლიტიკოსი და ლიბერტარიანული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი. როგორც ის ამბობს, პოლიტიკური რეპრესიების გამო, ბოლო ნახევარი წელი იძულებულია სომხეთში იცხოვროს.
18. **13 თებერვალს** საქართველოში არ შემოუშვეს *ანა რივინა* ფონდ "არა ძალადობას!" დამფუძნებელი. რივინა ბოლო რამდენიმე თვეა საქართველოში ცხოვრობს. როგორც უფლებადამცველი აღნიშნავს, ის საქართველოში ერევნიდან ჩამოფრინდა და მესაზღვრეების პასუხს თითქმის 3 საათის განმავლობაში ელოდებოდა, თუმცა საბოლოოდ ქვეყანაში არ შეუშვეს.რივინას თქმით, საქართველოში ჩამოსვლისას მას ადრეც აჩერებდნენ საზღვარზე რამდენიმე საათის განმავლობაში, თუმცა, მოგვიანებით მაინც უშვებდნენ.
19. **20 თებერვალს** საქართველოში არ შემოუშვეს რუსი მწერალი და ჟურნალისტი, რადიო „Armazas"-ის დამფუძნებელი *ფილიპ დზიადკო .*
20. **28 აპრილს** საქართველოში შემოსვლაზე უარი უთხრეს *ევგენი გაცაკს.* ბელარუს აქტივისტს. გაცაკი უკვე ორი წელია საქართველოში ცხოვრობს, რამდენიმე დღის წინ კი, თურქეთში გადავიდა. სარფის საბაჟოზე მას საქართველოში დაბრუნებაზე უარი უთხრეს.
21. **2 ივნისს** საქართველოში არ შემოუშვეს *ვიქტორ შენდეროვიჩი* რუსი მწერალი და აქტივისტი. შენდეროვიჩი ანტიპუტინისტური პოზიციისა და აქტივიზმის გამო რუსეთში „უცხოური გავლენის აგენტადაა" გამოცხადებული.
22. **9 მაისს** საქართველოში არ შემოუშვეს ჩეჩენი აქტივისტი *ჟალადი გერევი.* რომელმაც რუსეთის ციხეში გაატარა 3 წელი. გერევის განცხადებით მას შემდეგ რაც მის პასპორტში ქართველმა მესაზღვრეებმა დაბადების ადგილად მითითებულ ჩეჩნეთი ნახეს, მისი დოკუმენტები გადასამოწმებლად წაიღეს.

2024 წელი

23. **28 მარტს** საქართველოში არ შემოუშვეს რუსი აქტივისტი *იგორ მიგლანი.* მიგლანი საქართველოში 2022 წელს, უკრაინაში რუსეთის სრულმასშტაბიანი შემოჭრის დაწყების შემდეგ გადმოვიდა. იმავე წლის აპრილში მან სხვა აქტივისტებთან ერთად დაიწყო პროექტი „ემიგრაცია მოქმედებისთვის", რომელიც ეხმარება საქართველოში დარჩენილ უკრაინელ ლტოლვილებს. პროექტი უკრაინის მოქალაქეებს მედიკამენტებს აწვდის და მათ მხარდასაჭერად ატარებს საგანმანათლებლო და საქველმოქმედო ღონისძიებებს.
24. **22 თებერვალს** საქართველოში არ შემოუშვეს *ანა მუხინა* რუსი აქტივისტი, რომელიც მონაწილეობას იღებდა ოპოზიციონერი კანდიდატის ბორის ნადეჟდინის მხარდასაჭერად ხელმოწერების შეგროვებაში.

25. **25 თებერვალს** საქართველოში არ შემოუშვეს *მაქსიმ ივანცოვი,* რუსი აქტივისტი და არასამთავრობო ორგანიზაცია Frame-ის ხელმძღვანელი, რომელმაც თავისი ოფისი დაუთმო აქტივისტებს რუსეთის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილე ოპოზიციონერი კანდიდატის, ბორის ნადეჟდინისთვის მხარდასაჭერი ხელმოწერების შეგროვებას.